

ავტობიოგრაფია

მე, ზაზა შოთას ძე გვრიტიშვილი დავიბადე 1975 წლის 23 ივლისს ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა - შოთა ივანეს ძე გვრიტიშვილი, დაბადებული 1942 წელს გარდაიცვალა 1986 წელს.

დედა - ნადია ვლადიმერის ასული ჭყოძე, დაბადებული 1943 წელს ამჟამად პენსიონერია.

1981 წელს სწავლა დავიწყე ხაშურის N3 საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1992 წელს.

1993 წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის რული კურსი დავამთავრე 1999 წელს.

1992-94 წლებში ვმუშაობდი ხაშურის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში მდივან-მოლარედ.

1994-99 წლებში ვმუშაობდი საქართველოს გენერალური პროკურატურის კადრების სამმართველოს უფროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

1999-2007 წლებში ვმუშაობდი ხაშურის რაიონულ პროკურატურაში სტაჟიორად, გამომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ, პროკურატური პროკურორად.

2007 წლიდან ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

2008 წელს ვმუშაობდი სახედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს საგამომძიებო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

2009-14 წლებში ვმუშაობდი სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების მთავარ სპეციალისტად - იურისტად.

2014 წლიდან დღემდე ვმუშაობ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში კონსულტანტად.

ვარ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, მონიჭებული მაქვს მეორე კლასის იურისტის საკლასო ჩინი.

კმაყოფაზე მყავს ორი არასრულწლოვანი შვილი - ლუკა და ბარბარე გვრიტიშვილები.

მე და ჩემი ოჯახის წევრები ნასამართლევი არ ვართ.